

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

### საქართველოს კანონის პროექტზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების და დამატების შეტანის შესახებ

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზანი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან, მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობა გადავიდა თვითრეგულირების მექანიზმზე და, შესაბამისად, სახელმწიფო აღარ ახორციელებს ძვირფასი ლითონის დადამღვას სათანადო სინჯით. აღნიშნულიდან გამომდინარე დანაშაულად ვედარ განიხილება სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის დამზადების ან გამოყენების წესის დარღვევა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: კანონპროექტის მიზანია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა შექმნილ რეალურ მდგომარეობასთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 209-ე მუხლის – “ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამლის დამზადების ან გამოყენების წესის დარღვევა” – ამოღება.

პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე გარკვეული ცვლილების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში (“გადასახადისათვის თავის არიდება”), კერძოდ, აღნიშნული ნორმის შენიშვნის მე-2 ნაწილში ხდება იმის დაკონკრეტება, რომ 218-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა გადავადებული ან კორექტირებული იქნება საგადასახადო შემოწმების შედეგებზე საგადასახადო მოთხოვნის ან საბაჟო შეტყობინების მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტს მიღება ფისკალურად ნეიტრალურია, იგი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

მათ არ მიუღიათ მონაწილეობა კანონპროექტის შემუშავებაში.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

საქართველოს მთავრობა